საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2543-03
31/08/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისა და ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივლისის N7 სხდომის გადაწყვეტილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისა და ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე.

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი